

5-67



უ-კერა-კვირეული უფრნალი

№ 25

აგლიზადი გორემი

\_\_\_\_\_

სახელი №	_____
ორიენტი №	_____
დაბა	_____
კუთხი №	_____
დრო	_____

90/1

ვალი 10 ქ.ქ.

33/05  
5-67

№ 25

16 თიბათვე 1913 წ.



ერვალ აპირაული საზოგადო-ეკონო-

მიური და სალიტერატურო შურნალი

რედაქცია ლია 10 - 3 ხათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დენებისა: თბილისი კლდე.

სარჩევი მეთაური. ქართული სახადხო თეატრი.—  
\*\*. უკავილები. — ეკალისა. ადამიანი. — ღეჭვი  
დურუ მეგრელისა. ნატო. — ან. კაპანაძისა.  
ხელოვნება. როგორც ფაქტორი საზოგადოებრივ  
ცხოვრებისა. — ა—ისა. უკანასკნელი ამბე-  
ბი. სომხები ადმისიავლეთ საქართველოში. — გ.  
საქორმერაციო გურიება. თხევნა ქართველ მაჭა-  
დიან. თახახისა. — ი. კერესელიძისა. სახადხო  
უნივერსიტეტის გარშემო. — შუ — შასი. დამიტ-  
რი არაყიშვილის კონცერტი. — რაესი.

თბილისი 16 თიბათვე

უბედურ კაცს ქვა იღმართში მოწევით, ნა-  
თებამია და ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია  
ქართველებზედ: რაც უნდა საკეთილოდ დაიწყოს  
რომელიმე საქმე, რაც უნდა აღმა წავიდეს, იმდე-  
ნი უმეტესად და შეუგნებლობა, იმდენი ლვარძლი  
და გაუტანლობა აედევნება, იმდენი უკოდინარობა  
პირადი ინტერესებისაც კი — საზოგადოებრივს ვიღა  
ჩივის, — რომ ქვის დაწევაზედაც უარესი ამბავი დატ-  
რიალდება. არ შეიძლება ითქვას, რომ ბედი გვწყა-  
ლობდეს მაინცა და მაინც, მაგრამ მოხდა ისეთი  
უცნაური ამბავი, რომ უტკიცილოდ და მოგებიანად  
ხელში ჩიგვივარდა ისეთი დიდ მნიშვნელოვანი, დაუ-  
ფასებელი საქმე, როგორიც არის კახეთის რკინის  
გზა. უკელი სხვა ხალხი ამისათვის თავს გამოიდებდა,  
აამოძრავებდა ძალას და კუუას, რომ საუკეთესოდ

გამოეყენებინა, მომზადებულიყო ამ დიდი  
საქმის გასაძლოლად — ჩვენ კი მთელი ძალ-ღონე  
ჩხუბსა და დავიდარაბის მოვანდომეთ, მოვანდომეთ  
იმის მტკიცებას — საჭიროა თუ არა, სასარგებლოვა  
თუ არა ჩვენთვის რკინის გზის პატრონობა. მაგ-  
რამ ამ ჩვეულებრივ სენს ზედ დაერთო უარესი და  
უარესიდ ჩვეულებრივი ჭირი — მიწის გაყიდვა.

ჯერ კაც. რკინის გზა არ დამთავრებულია და  
ჩვენ უკველდელ ვკითხულობით განცხადებებს: იყი-  
დებ. 8 ათასი დესეტინა მუხის ტყე; იყიდება  
1000 დესეტინა მიწა, იყიდება სახნავები, იყიდება  
ვენახები, სახლ-კარი, სამოსახლო და სხვა... კა-  
ხეთში.

ჩვენ არ ვიცნობთ სახელებს ამ სამშობლო  
ტერიტორიის გამყიდველებისას, არცა გვსურს ვიც-  
ნობდეთ, თუმცა დარწმუნებით ითქმის, რომ ესენი  
გადაგვარებული თავ. — აზნაურობის წრიდან იქნები-  
ან — სხვას ვის ექნება ამდენი?

არავის მოეთხოვება შეგნება საზოგადო ეროვ-  
ნული ინტერესისა, არავის მოეთხოვება ასეთი აქ-  
ტის უსამართლობის შეგნება, როდესაც მთელი  
დისავ. საქართველო პკვნესის მიწის სივიწროეისაგან, როცა აქ, ქართლში, ჭაპანწყვეტაა, თვით მდიდარ  
კახეთშიაც გლეხობა სულს ირთმევს მდიდარი ლა-  
ტიფუნდიების გვერდით, — არავის მოეთხოვება მეთ-  
ქი, რაღაც შეგნება საზოგადო ინტერესისა და სამარ-  
თლიანობა „ღვთისაგან“, არაა, იგი უმაღლესი, შემ-  
დევი საფეხურია აღამიანის განვითარებისა, მაგრამ

კაცის რომ თავის საკუთარი, კერძო ინტერესიც არ ესმოდეს — ეს მარტო ქართველს შეუძლიან.

ვერ წარმოგვიდგენია, კაცის 8,000 დესეტინა მუხის ტყე ჰქონდეს, ისეთი ტყე, რომელიც იქნება იქაშდის უქმადაც იდო უგზოობისა გამო, — და ეს ლა, როცა კახ. რკ. გზა ბაზარს დაუახლოვებს — ეხლაც ვერ გამოიყენოს! მაგრამ ქართველ თაღა-დიშვილს არ უყვარს ყურის გამობერტყა, არ უყვარს ხელის განძრევა იმისათვის, რომ თავისი საკუთარი სიმდიდრითაც კი ისარგებლოს და საშვილიშვილო ძვირფასი განძი აამოძრაოს, აამუშაოს, თვითონაც ისარგებლოს და სხვასაც ლუკმა გაუჩინოს. სულ სხვა, როცა მზა-მზარეულიად ჩიუჩხრიალე ბენ ფულსა და დღესვე შეუძლიან გადაყლობოს და ხეოლინდელი დღე და შთამომავლობა თუნდაწყალსაც წაულია.

ნუთუ 8,000 დესეტინა მუხის ტყეს, ადამიან-მა თუ ექსპლუატაცია რიგიანად მოაწყო, 80,000 მან. შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს — დესეტინაზე თუმანი? და ექნება კიდევ, რასაკვირველია, როცა სხვის ხელში გადავა. ბევრი გვინახავს თავადიშვილი და კუდა-ბზიკა აზნაურიც; რომ ეხლა გამხმარ პურსა ნატრულობს და შურით შესკენავის საკუთარი მამულის მეპატრონებს: ხომ ჩემ მამულზე გამდიდრდი და პატარა ალავი რამე მაინც მოძეკიო. ასე ემართება ყველას, ვინც სიმდიდრეს ისე უყურებს, როგორც ქეიფის და ფლანგვის იარაღს, ვისაც შეგნება არა აქვს, რომ სიმდიდრესაც, საკუთრებას უნდა მიზანი, მიმართულება, შმოძრავი ძაღლი მიყცეს.

ვისაც ჩვენში ცოტა რამ კიდევ აბადია — ყოველთვის იდეალიდ უსაქმურობას ისახავს: არ მიკირს და საქმე რად გავაკეთოვო. ეს კი საზოგადოების დაცვებას და გათახსირებას ნიშნავს.

ბრალი ჩვენი, რომ ჩვენი ინტელიგენციაც იქაშდის თავ.-აზნაურულ წრიდან გამოდიოდა და ძალა-უნდებურად ისისხლხორცებდა მის ზე-ჩვეუთებათ, მის ფსიხოლოგიის: სიამაყე ბევრი, ოცნება უმეტესი და საქმე კი ნამცენიც არა. ამისთანა ყოფაში მოგვასწრო ისეთმა ხანამ, როცა საჭაროა ენერგიის ერის ერთი პატია ერთეულიც არ იკარგებოდეს და შეთანხმებულიდ იხარჯებოდეს საერთო საქმეზედ. იმის მაგიერ რომ დღეს, როცა პრესა, საზოგადოება, ხალხი ითვალისწინებს უნუგეშო მდგომარეობას, როცა აქა-იქ, კანტი-კუნტად იბადება ხალხი, რომელსაც სურს ეხლა მაინც შეუდგეს საქმეს, როცა ჩიდება კიდეც ეკონომიკურ ორ-

განიზაციების ჩანასახი, კოოპერატივები, სამეურნეო სკოლები, სამეურნეო საზოგადოებანი და სხვ. იმის მაგიერ, რომ დღეს მაინც შეჩრდებს საკუთარი ხელით სხვაზედ გაყიდვა მიწისა, — პრეტენზით შემთხვევისათანავე კახელი თავ.-აზნ. მისდევს კვალში ქართლელს და ძვირფასი საუნჯედ ბაზარზედ გამოაქვს.

მაგრამ, რასაკვირველია, სანტიმენტალური გრძნობანი და სამართლიანობისადმი ღალადისით არ შეჩრდება ის ეკონომიკური უკულმართობა, რომელიც დღეს ჩვენშია გამეფებული. ჩვენ უნდა რაომე პრაქტიკული ღონე ვილონოთ და გადაგვარებულ მესაკუთრეთ, რომელთაც თავად არ იკიან მოხმარება საკუთრებისა, დაუპირდაპიროთ ისეთი საღი ელემენტების ორგანიზაცია, როგორიც არის გლეხობა. ჩვენმა გლეხმა, მართალია, მიწის ყადრი არ იკის. ჯერ არ შეუძლიან ინტენსიური მეურნეობის მოწყობა, მაგრამ მიწა მაინც უყვარს, როგორც თავისი მაცხოვრებელი და მისი გულისათვის არა-ფერს ზოგავს. საუცელუროდ, სოციალისტური პროპაგანდის შემდეგ, ჯერ კიდევ ბევრსა აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ მიწა საბოლოოდ გლეხეციც უნდა დარჩეს მუქთადათ და ისინიც კი, ვისაც შედლება აქვს — არა ყიდულობენ: დღეს-ხეალ ჩვენი იქნებათ. ასეთს შემცდარს აზრს ის შედევი მოსდევს, რომ ბევრი მემამულე მოწადინებულიც რომ იკვეს საკუთარ გლეხებზედ მიწის გაყიდვას, — ვერ ახერხებს ამას და იძულებული ხდება უცხოზედ გაასაღოს... რომელსაც მუდმივ პირი აქვს დალგაული და მეტ ფასსაც იძლევა.

ასეთ პირობებში, პირველი საზრუნველი საგანი უნდა იყვეს შექმნა ისეთი ორგანიზაციებისა, რომელნიც სიტყვით, საქმით და ფულითაც დახმარებას გაუწევენ გლეხობას — შეიძინოს რაც შეიძლება მეტი მიწა და რაც შეიძლება შელავათიანი პირობით.

ასეთი ორგანიზაციი ერთი კიდეცა გვაქვს — სა-აღგილ-მამულო კომისია, — მაგრამ იგი არამთე საკმარისი არ არის — იგი ერთ ისეთ ნაკლე ატარებს, რომელიც ზღუდავს და აფერხებს მიწის მოწესრიგების საქმეს — ეს არის მისი დამოკიდებულება ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობისაგან და აქედანვე წარმომდგარი შეუძლებლობა დახმარების გაწევისა იმ ელემენტისათვის, რომელიც უკელახედ მეტად დაინტერესებულიც არის, მეტი ფხოს გამოჩენიც შეუძლიან და პრაქტიკულიდაც უფრო იდეილ-დ შეითვისებს გადასახლების იდეას ჩვენ სახეში გვყავს იმერლობა. ჩვენის აზრით, საზოგადოთ დასავლეო

საქართველო უფრო მომზადებულია იმიგრაციისათვის, ჯერ ერთი იმიტომ რომ შეტად გაჭირვებულია მიწით, იმიტომაც რომ უფრო მოძრავი და კოცხალი ელემენტებითაა დასახლებული და ახალ პირობათაც უკეთესად ეჩუება.

იმიტომ, ჩვენა გვვონია, სწორედ დრო იქნება დასავლეთ საქართველოს ინტელიგენცია დაეხმაროს ამ საქმეში, გაჭირვებულ მეურნებს, შექმნას რაიმე დაწესებულება; კომიტეტი ან სხვა რამ სახისა, განსაკუთრებით გადმოსახლების პირობათ გამოსარტყევიდ. ჩვენის მხრით, ჩვენ აქედან დავეხმარებით ყველა ამ გვარ საქმეში და იქნება საერთო რამ გეგმა შემუშავდეს ორთავ მხარისათვის.

გაღმისახლება დასავლეთ საქართველოდან შეასუსტებს მიწის კრიზის ერთის მხრით და გამრავხისალებს, მეორე მხრით. აქაურ გლეხეაცხაც, რომელიც მუდამ მუქი მიწაზედ ოცნებობს.

## ქართული სახალხო თეატრი

როგორც გვიგეთ, „სახალხო სახლოთან“ არ სებულ ქართულ წარმოდგენათა სექციის გამგეობის თავმჯდომარებ ბნ. კ. ჯაფარიძემ დასაბუთებული შოსხენება წარუდგინა დეპუტატთა საკრებულოს და თხოულობს, თავად-აზნაურობამ დახმარება აღმოჩნდინოს ქართულ სახალხო თეატრს.

ქართულ-სახალხო თეატრს ჩვენ კულტურულ და კანმანათლებელ დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული და უპირატესი აღვილი უჭირავს. ვინც იცის, თუ როგორ ვითარდებოდა ეს საქმე ჩვენში, ვინც იცნობს მის წარსულს და მის ბრწყინვალე აწყოს, მას არ შეუძლიან არ დაგვეთანხმოს, რომ მონაცემშიაც მას დიდი მოვალეობა აწევს. პირდაპირ საარაკო თავდადება და სიმარევე იმ პატარა ჯვეფისა, რომელმაც ეს საქმე დაიწყო და მიუხედავად უველანირ დაბრკოლებისა, გამარჯვებული კამოვიდა. სახალხო თეატრი ჩვენში ქეშმარიტად ხალხური ქმნილებაა. იგი პირმშო შეიღია მუშაობა ინტელიგენტურ ჯგუფებისა, რომლებიც ოცი წლის განმავლობაში თავიანთ წრეებში და ამ წრეების გარედაც და პროპაგანდას ეწეოდნენ სიტყვით და საქმით, რომ თბილისის მდაბიო ხალხს შეეცნო დიდი მნიშვნელობა თეატრისა. ქართულ ინტელიგენციის სისახლოდ უნდა ვსოდვათ, რომ არც ეს იდ-

გა დაშორებული იმ საქმეს და მისი სახელმძღვანელო წარმოშადეგენელნი მუდამ თავ-გამოდებით იკავდნენ სახალხო თეატრის არსებობას. და მარტივებულ-ბი ძალამ მოწინავე მუშაობა და ზოგიერთ ინტელიგენტისა, წარმოშვებს საქმე, რომელიც ეხლა მკვიდრ ნიადაგზედ სდგას; სახალხო თეატრი, როგორც იდეა, უზრუნველყოფილია. იგი უკვე ნაწილია საზოგადოებრივ შეგნებისა და ამ მხრივ მას შიში არ მოელის. იგი არასოდეს არ დაიღუპება. მაგრამ საქმის კარგი წაყვანისათვის საკმარისი არ არის მისი იდეული სიმტკიცე. საჭიროა მისი ნივთიერი გამაგრება და ამ მხრივ ქართული სახალხო თეატრი მუდამ შიშსა და ელდას განიცდის.

ქართულ სახალხო თეატრს თავისი გაწვრთნილი და სამაგალითო დასი ჰყავს. ქართულ სახალხო თეატრს თავისი მუდმივი მსმენელი და მაყურებელი ჰყავს და ეს დასი და ეს მაყურებელი საზოგადოება, ერთმანეთს ვერას დააყვედრიან. სახალხო თეატრი მუდამ სავსეა ხალხით. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ ნივთიერი მდგომარეობაც უზრუნველყოფილია. პრინციპი სახალხო თეატრისა—იაფ-ფასიანი წარმოდგენაა. ეს გარემოება კი ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ შემოსივალი ვერასოდეს ვერ უსწორდება თეატრის გასავალს. საჭიროა გარეშე დახმარება, რომ სახალხო თეატრს შეეძლოს საქმის უკეთესად მოწყობა. და სწორედ ამინ აიძულა სახალხო თეატრის გამგეობა — მიემართა თავად-აზნაურობისათვის, რათა მან აღმოჩნდინოს ნივთიერი დახმარება.

ჩვენ მწვიც კი არა გვაქვს, რომ, როგორც დეპუტატთა საკრებულო, აგრეთვე მომავალი კრება თავად-აზნაურობისა მხედველობაში მიიღებს ქართულ სახალხო თეატრის გაჭირვებას და დახმარებას აღმოუჩენს იმ მოსაზრებით, რომ სახალხო თეატრი ჩვენთვის ისეთივე საჭირო დაწესებულებაა, როგორც წერა-კითხვის საზოგადოება, სკოლის საზოგადოება, საზოგადოება ეთნოგრაფიისა და ისტორიისა და კიდევ მრავალი სხვა, რომელთაც თავად-აზნაურობა მუდამ უმართავდა ხელსა.

ჩვენ გვსურს შევეხოთ მხოლოდ იმ საკითხს, თუ რანაირი უნდა იყოს ეს დახმარება. უბრალო ხელის მონაცემება სახალხო თეატრს განსაკლელისგან ვერ ისხნის. საჭიროა მუდმივი და სისტემატიური დახმარება, რათა სახალხო თეატრმა თავისუფლად ამოისუნთქოს და უფრო გახალისებული და დამედებული შეუდგეს თავის მოქმედებას.

მართალია თავად-აზნაურთა ხაზინას მრავალი

მოვალეობა აწევს და განსაკუთრებით კი წრეულს. მართალია მისი ხარჯები წრეულს გაცილებით მეტი იქმნება, რადგან მარტოოდენ ერთი კახეთის რკინის გზა მოითხოვს აუარებელ ხარჯებს, მაგრამ უკელათეერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა წესრიგით იქმნება შედგენილი 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა. ჩვენთვის როგორც მთელი საზოგადოებისთვის, ფრიად სასურველია, რომ ამ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქმნას ახალი რუბრიკა — „ქართული სახალხო თეატრი“.

\* \* \*

## ქ ბ ბ ი ლ ე ბ ი

ერთს შეძლებულ კახელ ვლეხ-კაცს, რომლის ორმა ვაჟმა სათავად-აზნაურო კიმნაზია დამთავრა, შეკვეკითხე:

— კაც! ვაჟები რა უყავ? სად არიან?

— ბატონი, ერთმა უნივერსიტეტი დამთავრა და ქ. კონკრეტული მასწავლებლად დარჩა, მეორე კი სამხედრო სამსახურში შევიდა, ეხლა აფიცერია და აურქისტანში გახლავთ — მიპასუხა ვლეხმა.

— მაშ შენ და შენი მამული მარტონი დარჩით?

— რა ვუყოთ, ბატონი... როგორმე იოლად წავალოთ. ასე განათლებულ ახალგაზრდებს ხომ მარც არ ვამუშავებ მამულში? რა იმათი საჭმა.

— ფულით გეხმარებიან?

— რასა ბრძანებოთ... მე თვითონ ვეშველები. წელიწადში ხან ხუთს, ხან ათ თუმანს გაუგზავნი ხოლმე.

ასეთი შესანიშნავი საუბარი მქონდა ამ რამდენიმე დღის წინად ქართველ გლეხ-კაცთან.

ეს ფანტაზია კი არ გახლავთ.

ეს მწარე სინამდვილეა, მწარე ირონიაა ქართულ უკუღმართ ცხოვრებისა!

ეს მწარე შედეგებია ჩვენ დაბრმავებულ ცალმხრივობისა ქართულ განათლების ასპარეზზედ!

გადახედეთ საქართველოს

ქვეყანა მოფენილია ვაჟების და ქალების კლასიკურ პროგიმნაზიებით, გიმნაზიებით, „ზავედენებით“, სადაც იზრდება დღეს ქართველი ახალგაზრდობა და სადაც მარტო ერთს გზას უჩვენებენ:

მოსწყდი შენს მიწა-წყალს, მოსწყდი ქართულ

ცხოვრებას, მოსწყდი მძიმე შრომას, მოსწყდი შენს სამშობლოს. დავიწყეთ თბილისიდამ და ქუთაისიდამ, გადავედით საპროვინციო ქალაქებში, და დავიმთავრეთ სოფლებით.

გიმნაზია, პროგიმნაზია

პროგიმნაზია

პროგიმნაზია, გიმნაზია,

ქართულ ოჯახს ვუვლებულ, ვანგრევთ, უპატ-რონო სამშობლო მიწა-წყალს, ვკარუვავთ, ვყიდით, რომ შვილები განათლებულ რუს ჩინოვნიკებად, სასამართლოების მოხელე ადვოკატებად და აფიც-რებად ვაქციოთ და ამით თვალს ვასიამოვნოთ და გადაგვარებული სული და გული დავიტებოთ...

ამ ჩვენს წყურვილს საზღვარი არა აქვს...

თქვენ გინახავთ სასაფლაო, შემკული და მორთული ლამაზ, სურნელოვან ყვავილებით?

მოგწონებიათ არა?

მაგრამ ერთი წუთით, რადგანაც მაღა მოგვინებიათ, რომ ამ ყვავილების ქვეშ შკვდარია მოქცეული.

და სევდით იყვსება თქვენი გულიც...

განა ამავე სურაოს არ წარმოადგენს დღეს ჩვენი ქვეყანა?

ზევით ყვავილები — განათლებული ქართველი ინტელიგენცია.

ქვევით მკვდარი — ქართველი ხალხი.

პირველი განათლებული ჩინოვნიკურ კლასიციზმით და... სოციალიზმით.

მეორე — წელში ვაწყვეტილი, ლარიბი და ჩაგრული.

გინახავთ სადმე ქვეყანა, სადაც ინტელიგენცია და ხალხი ასე დაშორებული იყვნენ ერთმანეთს? გინახავთ სადმე ერთი, რომლის ბედი ასე გადამული იყოს მის მიწა-წყალთან და ეკონომიკურ ფაქტორებთან და მასთან ჰყავდეს ასეთი უკუღმართი ინტელიგენცია?

უსაფუძვლო კლასიკიზმი განათლებაში, უნიადავო სოციალიზმი პოლიტიკაში.

პროგიმნაზია, გიმნაზია, უნივერსიტეტი და სოციალიზმი — კარიერა დღევანდელ ქართველ ინტელიგენცია.

მისი შედეგია:

ქერელა განათლება სკოლაში.

ქერელა პოლიტიკა პრესაში, ეროვნულ ცხოვრებაში.

მეურნეეთა ქვეყანაში 15 პროგიმნაზია და გიმნაზია, სამაგილითოდ მოწყობილი და არც ერთი სამეურნეო სკოლა!

წვრილ შესაკუთრეთა ქვეყანაში — 5 სოციალისტური გაზეთი და არც ერთი ქართული ეროვნული გაზეთი.

ზევით უვავილები.

ქვევით...

გადახედეთ დღეს ქართულ ცხოვრებას და მის  
გარშემო მტრების ფუსტუსს...

ქვევით, ბატონებო... პირქვე დაცემული ქარ  
ოველი ერი და მკვდარი საქართველო.

მქალი.

## ა ღ ა მ ი ა ნ ი

ვნახე ბებერი, ომა შეღებილი,  
ფერულმარილით გადაგლესილი,  
იმანჭებოდა, იგრიხებოდა,  
გამვლელ-გამომვლელს ეწონებოდა;  
არ არსებობდა მისოვის სხვა გრძნობა,  
კვლავ წუთს, პირუტყვებრ, ხორუს დატებობა  
იყო მარტოკა მისი მიზანი, —  
და შემეზიზდა ადამიანი!..

ვნახე უმაწვილი, გაჭაღრებული,  
შუბლ-დალარული, გაფითრებული,  
შორს, შორს ცის კიდეს მიშტერებოდა,  
ფიქრს მწვავს, გულის მღრღნელს, დამონებოდა;  
მას არ იპყრობდა სხვა მისწრაფება,  
ყოფნის იდუმალ მიზეზთ გაგება  
იყო მარტოკა მისი მიზანი, —  
და შემეჩრიალა ადამიანი!..

ვნახე ვაჟკაცი, სიმხნით აქსილი,  
თვალებ-ნათელი, სახე გაშლილი,  
დაუღალავად მთელ დღეს შრომობდა,  
სხვის აკოცხლებდა, თვითაც კოცხლობდა;  
არ იტაცებდა მას სხვა სურვილი,  
მარად და მარად ექმნა კეთილი  
იყო მარტოკა მისი მიზანი, —  
და შემიყვარდა ადამიანი!..

1913 წ.

დურუ მეგრელი.

ბ ა ტ ი \*)



3

ნატო შიშმა შეიძურო. შიშმა და ზრუნვამ გაკლენა  
იქნია ნატოზე: გაუვითდღა, გახდა, ჩამოდნა, უოველ  
დამ აჭარაკების თავდასხმის მოედოდა. ქადა ამ მდგრად-  
რეთბაში რომ ხედავდა დევანი, ლამობდა შეეტერ მწე-  
რების შიზეზი და ნატომაც დაუივარავად უამბო დევანის,  
რაც ედდა გამოიარა. დევანს უნდოდა დაუივარა ქადა  
კვლავ ამხარ განხიცდებისაგან და გადატერუვიდოდ აღუ-  
თქმა დაშეობით მასთან უოფნა.

დევანი იყო დიმიტრის ნათლული გდეხიშვილი და  
დიმიტრის ოჯახში აღზრდიდა. როდესაც დიმიტრიმ  
უმაწვილი ცოდნა მოიყვანა, — მოხდებიდა მოზრდადა  
ბიჭის სახდში უფონია უხერხებად სცხო და შინ კას-  
ტუმია; თუმცა მომეტებული წილი დიმიტრისას იყო ხა-  
ლმე და ნატოც მიაზიდა, როგორც ტოლი და შეგ-  
ხარი.

ქადმაც არ იუცხოვა დევანის სიტეჯა და ამ ჯდიდ-  
გან დევანმა გაათრამაც ქვრიფ-თბელებზე ზრუნვა.

უმაწვილი კაცის დახლოებამ ახალგაზრდა ქარიფ-  
თან, ხალხში ბეჭრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უმაწვილი  
კაცი, ლამაზი, კეთილი და ნატოსათვის თავ-დადებული,  
რაც უფრო ხანი გადიოდა, ნატოს გუდში მადლობის  
გარდა სხვა გრძნობასაც აღვიძებდა, მით უმე-  
ტეს, რომ დევანიც უფრო და უფრო იხიბლუბოდა ნა-  
ტოს სიღამაჲით და სიახლოებით.

4

ნატოს და დევანის შესხებ ხმა გაფრცელდა, რომ  
კავთომ დევანის დახმარებით ნატო შეცდების იხდენდა და  
ერთი ახლად დახადებული ბავშვი იმათ სახლის პედე-  
ლან ქვებში იმოვეს ჩამარხება, რაზედაც მოედი სოვე-  
ლი აუგანდა, აშეოთდა. სოფელი ცოდვით აგვივესო და  
თავგამოდებულთ ვითომდა სოფელის გულშემატებართ გა-  
დასწევიტეს ნატოს და დევანის დამოკიდებულების შეს-  
ხებ საბუთი ეშვათ, რომ შეეჭარებულნი საჭაროდ და-  
ესაჭათ. იმათის უიქრით, თუ ვაპატივო და არ გამოვაშ-  
კარავეთ მათი კავშირი, ჩვენმა ახალგაზრდობაში, შეიძლება  
მისამოს და ქვეანა წარუენებათ. ნატოს და დევანის წე-  
მად თვალ-ურს ადევნებდნენ. კაცი სამუშაოდ ადარავის  
მიჰევანდა, ქადა უკედანი ერიდებოდნენ, გზათ მეხედ-  
რილიცაც გზას აუქცევდნენ ხოლმე ქმრის საგვარეულო  
მის ბავშვებს თავიანთ შეიღებს არ აკარებდა.

\*) იხ. „კლდე“ № 24.

მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი არა ჰყარგვდა მათდამი სიბრულეებს. როდესაც სოფელის დროა ძილი მთაცვადა და ღლიური სიცოცხლის ძარღვის ცემა შესწეულოდა, მაგ წამოსახვები შეხვეული, ანრდილივით მაიმარებოდა ნატოს სახლისაკენ, გადასცემდა ბურს, სახოვავით სავსე ფესტივალს, თან გაძამხურებელ სიტყვებსაც ერთდა და გაჭრებოდა დამის მდუმარებაშა.

## C

1905 წლ. მაისის დაღა თებერვალი. მზეს ვერ არ ამოუკიდები მდიმარი პირი, მაგრამ აღმოსავლეთით ღრუბლები ოქროი კადეც დაფერილივენები და დაღის სით კლასტერით ფრთვები, ზების ასისის-აშრიალებდა, რომელების სასხლი შეწანით მასიდ კლასტებიდან-კლასტები ცელქი ჰიქოვათ და ხურდნენ ფრინველი და საერთო ქებათა-ქებას უძღვნიდნენ შემოქმედს. სწორედ ამ ბუნებრივ კონცერტის დროს, რაღაც ჩადგენისა ხმა გამოცემით გასამს ზარის რეკა და შორის-შორის სიყრცეში დაიჩიქა. წეს შესწეული და ისევ განმეორდა... კიდევ და კიდევ. ეს ხმები არ ჰიყანდები წირვაზე მიმწევე დოცვის ხმას, არც სამდღლო ბეჭო-სამხიარედო პარაგლიდისისას, არც სამგლოვარო პანაშვიდისას. ზარები ერთ და იმავე შესწრეული ჭანგით ქიოთინებდნენ. მათ გვეხსა-კოდებაში ისმოდა, თითქმ დღეს რაღაც დიდი და მძიმე სასახლის უნდა ეხილა როდენდო ადამიანთა თვალს. ხალხი, დიდი და პატირი, კაცი, ქალი, ავადმყოფი, შემინებული, ანგარიშ მიუცემდად იქითებინ მიემურებოდნენ. ზოგი გზა და გზა ცანისმოსს იცვალდა, ზოგი პერანგის ამარა ქაცი შირბოდა, ზოგი პირკვრის წერით მიეჩქრებოდა; ქალები მტირადა ბავშვებით ხელში მიექნებოდნენ. მგზავრის თავიანთ გზას სტოკები და ეკლესიისკენ მიმავალთ უერთდებოდნენ. მთელი სოფელი ირეულდა, უკედას თვალში მიში გამოკრთოდა: რა ამბავა? გადაუსკით? გიმ, რამე მოხდა ცუდი? თავს გვესხმიან? გადაიწვა გინძე? წარდგნა მოდის ქადან გვერდა? ხორცელა მოდის? ეძი გახეხილა? ზოგი გულიც მისდიოდა, ხეენი აღსასრულის დღე მოსულა, და ქიოთინით ერთმანეთს ეოსოვებოდნენ, კიდრე გადგებდნენ საქმას ვითარებას. ამ გვარი ბრძოს ეიგინი, ხმაურობა, ბავშვების ტირიდი, ზარების ჩახა-ჩეხი რეგა, რაღაც არეულ, საზარელ გრგვინგად გაისმოდა.

ებღესის ერთ შარებს რამდენიმე შეიარაღებულ ახალგაზრდა ქაცი გაემპობინა წრე და რაღაც საქმეზა თათბირობდნენ, შეჭედობდნენ. ზარების უკანასკნელში ხმაშ რასხვით დაიგუბუნა და გახურულებ ჰქერის სივრცეში მისწედდა. წრე გაირდება, გამოვიდა ერთი შეიარაღებულთაგანი, შესდგა მაღლობს, მომზადებულ ადგილზე, ხე-

ლი გადასც-გადმისება, თავზე ჩალის ქედი გაისწორა და დაიწერ მაღლა, რომლის ხმას თან და თან სიმარტვის ემარტებოდა:

— მშებო და ამხანაგებო! ქალით, ქანწის შტეკებით და ურმანით! დღეს შეგრუფილვართ იმიტომ რომ, დღეს უნდა გავასამართლოთ ორი ბილწი აღმიანი—ჩატო და დებან, რომელთა შერტალი, საზისდარი, ურცხი გაშმირი რეგნის ჩექ მომავალ ახალგაზრდობას. რის გამო ქაცებს ქედი აღარა გახურავს, მახდილოსნებს მანილი მთებადათ და თუ დროით არ ვიდონეთ, ეხლავე თავს არ მოუკრეთ, სხვა ხალხი დაგვემობს, გვეუბის თვალში შევრცხებით, ხათესავ-ხაცხობით გაგვიცხევენ, ბირს აგვარიდებენ, ხალხში ხმა, აღარ გვექნება, ასენად აგვაგდებენ. რომ ეს დამცირება, თავდავდასხმის აფიცილითობო, ამიტომ, ამხანაგებო დღეს დისტენდად უნდა დავსაჭოთ ის პირი, რომელთა შიზეზით საქმეზე ხელი აგვიღია და ვედებით მომასა.

აქამდის სუჟია გადაქცეულმა, სეღ განასიუდმა ხალხმა იკრიად ქეხილის მზეგუსად: დავსაჭოთ! დავსაჭოთ! — დას ძება, უნდა დასაჭოთ სამგალითოდ, რომ შემდეგისთვის დაუკაწუარი დარჩეს ხალხის ხსოვნაში.

იგრიადა ბრძოს მედგარმა ამოძახილმა — ეპრე იეოს, ეპრე! თქმა და ადსრულება! ეხლავე გამოიყენათ ურ ბილწიები... ჩავჭრდოთ! მოდაპარაკე აღტარები უდა-ლედებულები განაცრობდა ისევ: — ჩექნი დღემდის დუმილი, სიჩუმეს, მხოლოდ დღეგანდებლ მოქმედებით გმოვისეიდით, მ-მ კაუმარების, ამხანაგებო! — კათავა ახალგაზრდაშ და გადმებირა ხელი ყირისებენ, რომელიც იქ იდგა და შეკაზდები ეჭირათ ხელში.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ვარზე შეგვათ, ვარზე, ღრიალებდა ბრძოს.

ხალხი გაშებებული იყო. სწორობდა მალე მოგევანათ სისრულემი საზისდარი დასჭა. სეღ მცირე ხაწილი ან ხალები უგმავთფილებიას. უკავეთფილებით წრადგან გამოიდა უცრიბი ახალგაზრდა ქალი, რომლის სიეზე უსამართლობის აღელვების გამოშეტევებულებდა და სიტევა მოითხოვა. ბევრი უარზე იეო, ესწრაულებობნები მაღე დამტებარიეუნებს სხვის ტანკვით. — მაგრამ მაინც ხება მისცეს; ზოგი ეპონა, უარეს სისხელს თუ მოიგონებს რასმეთ. ქალმა პარველი მოდაპარაკის აღაგი დაიწონა, მებდ-მეგმებების ბრძოს გადახდა, რაღაც სიბრულები, მწერალები აღებეჭდა სახეზე და წარმოსოქმდა:

— მშებო, ამხანაგებო! მე უოველივე აქ გავაგე, აქ შეერიდ ზოგიერთი ხალხის პირიდგინ დეკანის და ხატოს მომხდარი მიებისა; ისიც გავაგე თუ როგორ მოხდა მათი ერთ-ურთის მორის გავშარი, რა იუთ მიზე-

ზი, მათი დამოკიდებულების მიმცემი საბუთი. თქვენ,  
ძმანო, არ უპირდებით საქმის სინამდვილეს, ცხოვრებას,  
ცხოვრების გახრწნა-უწესოებას; მზათა ხართ დასაჭირო  
ისინი. სად იგავით მაშინ, როდესაც უმაწვიდი, ჯერეთ  
ცხოვრების ქარ-ცეცხლის გამოყენება ქაღს ესხმოდნენ  
თავს აღაზარები...

ამ სიტყვებზე ასტენა ძხილი: ძირს! ძირს უმაქ-  
ნისი მოღვაშარა ამ, ძირს! ძირს! მოკვეთა, მოკვეთა!

მიენიჭოთ... ქალი არ შედგება და მრისებანებედ შეძლება:

— თქვენს სიტუაციას სიტუაცია არა ჭრიან, მოშეცით სიტუაცია, დამასრულებინეთ კიდევ. ცოტა არ იყოს ხდები შერცხვას უგან დაიწია და ქაღალდია განაკრძო:

— დარწმუნებული კარ, ეხლა აშ ბრძოში ურევიანის კაფიტონები, რომელთაც პირუტიკულად უნდოდათ ესარგებლათ უმწეო ქალის სისუსტით და რომელიც და-ითარო ჭერ მაგარმა კარებმა და მერმე ღევანმა და აი ეს ბუღალტი, მამაცნი, თითქოს ჭავრს იურიანო, უნდათ დასაჯონ სათემოდ ქალი, ქალი რომელიც უპატიოსნოთ ჟესუიდებით არ დანებდა და მარტო წმინდა სიუკარულს მიეცა თავდავიწებით. დამშევიდდით, მშებრ, მოიციქეთ რას სჩადისართ, რას სჩადათ იმ ღროს, როდესაც კა-დისკიდებდის გაისმის თავისუფლების ხმა, თავისუფლადი კაგშირი, სიუკარული, როდესაც იგმობა ქალუ-მომრეობა, იმსხვერება ბრედი ძალები, როდესაც შეარეა, ადსდგა, ამოძრავდა ქვეენა; მიისწრაოს სინათლისკენ.

କ୍ଷେତ୍ରକୁ ପାଇଁ ଆମେ ଯାଏନ୍ତିରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

— შეგნებაცა გვაძვს და გვესმის პიდეტ რასაც კა-  
ვთუბო!

ბრძოლა შეჩერებულდა. მისწინ ქალისაპერ და მუქ-რით  
მუშტების უწკენები და. ქალის ნადირის არეულობით ისარ-  
გებდა, თორებ შესაძლებელი იქნა ბაზეც შოგგლათ.  
მემდეგ ბრძოლის შეს ფართო თრდობათ გაემგზავრა და  
თან ერთინით, ურასმელით და სიმღერით მიჰევდა შეპაზმუ-  
ლი ჭირი. ხალხი ნატოს სახლოან შეჩერდა. რამდენიმე  
შაშგაცი შეიტრა სახლში და აფალმუთეთ, დასუსტებული  
ნატო ხელით გამოიყვანეს. უბნი, აავ პირ მემურული,  
სისხლით შეთხესნული, ნაცემი დევანი, ახალ დაბადე-  
ბული ბავშვით ხელში აუგახილი - გაპავებული მოჰკავ-  
ლათ. ნატო ნახევრად გაატიტვდეს. ვირზედ შესმის  
დროს ზოგი ამძღვიდა: უკუ-მა მეგსვათ, კუდი ხელში  
დავაჭრინოთ; ზოგი გაიძახდა ხარხარით; არა გვერდზე  
შევსვათ — დადგაცურად, კნეინურად ვასევორნით, ვითამ  
წვენი ქალბატონია და ესეც თავს გამოგვიდების, რადგან  
ამდექნა მხლეებელი ვახლდებით... და ბჟირდებულებების  
სიცილით. ზოგი, რაც ძაღლა ჭიჭინდა ჭევიროდა — სწო-  
რებ შევსვათ, სწორებ, რომ თავის გურის თვალით  
ხელავდებით.

ქადა შესვეს კირზე და ბაგშვი კალთაში ჩაუსვეუს. დექანი იბრძოდა თავისწირვით, იმუქრებოდა, მარტო ამოდება ხალხში რას კახდებოდა. ბოლოს შესძისა ხატის: ხატ, გუდის ხუ გაიტქე, კვიაცა შენს ტრიუმფის კად უსინდისოთ ჰერ შემირეიონ ხიმტყაცა, ვერ განმაშვილოს შენს თავსა... მთელი ქადაგანაც რომ მომესიონი, ჩემს შენთან მოცემულ სიტყვას ვერ გადამათქმევინდები, გამარილი, ბენაცხა, გამაგრდი!

ლეგანის სახელმის თაოვა შისტეს ხელში და წინ გაუმჯობესარეს. ქალი რომ არ გადმოგარდნილიყო, აქეთ-იქთი ეძარწილი გაშესრინ მოუდგინეს.

ნადხი უფრო იდეით, სტეპათ, სისურობით, ტაშის  
მერით გაემართა იმაგი გზითა. გზა-გზა აჩერებდეს ეს  
დამცირებულთ, ლევანს მოხდიდნენ ქვდეს, ატანდნენ მაღასი  
ქალი კლანძელა, თავისი თავი, ჩატა... ჩაუფურთხებდნენ და  
დახურავდნენ. ვისც რა ჰყდებოდა — ჰენჭი, ნაფოტი, ჩხი-  
რი, ბეჭტა, პატიფი, წვარი, სიცილ-ჩარხარით კეროდ-  
ნენ ნატას.

ნატოს მშეგნიერი სახე, რომლისთვისაც მნახველი  
ი აღტაცებაში მოდიოდნენ, ეხლა შემაძრწუნებელ სუ-  
რათს წარმოადგენდა. ცაცხლის მორქვევი გუგუსა თვალე-  
ბი, რომლის ცქანას კაცი დადხსნს გერ შეუძლებდა, ეხლა  
უზროდ დადგრემილი გამოიყენებოდნენ თკორი ქუ-  
ხლითთ გამლილი, მაღალა გულ-მკერდი ნარკიზის  
ფრიად შესცვლილია ის გიშერივით შავი აწეწილი თმა  
მხრებზე დაჭეროდა. ქარის უდიხობისკენ თავი მაღ-მაღ  
ბუზზე მკიდებოდა. ბეჭრდზე მიგომი კაცები მოუხეშ-  
ვად აუმართავდნენ. ნატო არა სტიროდა. გაშმრალ, უსი-  
ცოცხლო მიმქრალ თვალებით გადახედ-გადმოხედავდა  
სრის და კი გერას ხედავდა. ნატო სდემდა, არა ტირო-  
და, მაკრამ მის სამაგიერო ცრემლი ბევრი იღვრებოდა.  
ქალები რომელიც მის დამცირებაში თავის შეურაცხეობას  
ხედავდნენ, გული გერ ძოვიქათ ხმა-მაღლა ქვითინებ-  
დნენ... ბერს გულიც მისდომდა და გრძნობა დაკარგე-  
ლი სახლში მიერდათ.

მზეპი დურჭა, მოელგარე ციდგას დასტეროდა ცო-  
დგად ჩედა-მიწაზედ მცხოვრებთ და თავის ცხარე, ცი-  
ცხლუბრივ სხივებს, გულ მოსულა, იხუბსავით უსობდა,  
სიძნელით მოგრედ ჩაინში უკუნურ ადამის შოაშაკლი.

սօհնօ օղա, ռաբա գունչը ծոկնօցնօ, զտեյօս քայլունի այլն առաջնօ տուշմակ, տաքնչը քառ քասեմյալնօ և պայմանական առաջնօ, ամուսահնչյալնօ և պատրիարքայութեա զաք-մայն քադարյալնօ - քայլաբայը և ամուսահնչյալնօ նախակ և նախակ լին...

61

შემთხვევაში ერთ დღეს, ეჭვესია სანთლებით იქ გაჩირალდნებული. საუდარში მუთხუნი სიმოვნებით ქ.

უკრებდნენ თავგზირგვინიან მეფე-დედოფლს, რომელნიც  
გაბრწყინვალებულ ტრაპეზის წინ, ახსაფლის ქარის პირ-  
დაშირ, ახთებულ ჭარდებიან გელებრებით ხელში კრთ-  
ურთს ბედნიერების გამომკტეველ დიმილით შისწერები-  
დნენ. შემთხვევაში მღვდელ მოძღვანმა, რომ მეფე, წას-  
ხამებრ, უთხრა 10ტევები და ბეჭედი ბაზებთა მარ-  
ჯენის ხელის თითზე და დედოფლის მიმართ დაიწერ:  
„დაიწიდნის მხევალი ღვთისა ახასტასი...“ ამ დროს,  
შეკიტებული ხალხის ტალღა შეიძრო, შეუარეთ და  
ახალგაზრდა, შავებით მოსიღი ქალი წარსდგა მოძღვრის  
წინ და ღრმად ამოიგწნეს. ლაშაზ, თერ-შერთალ გამ-  
ხდარ სახეზე ეტერითდა, ბევრი ტანკება-ხალველი გამო-  
ვლდა. ქალმა, ცოტა სული რომ მთითქმა, მღვდელს და-  
უკირა ხელი და შესძხა:

— მამათ, გის სწერ ჯგანსა? იცით რომ ებ გაც  
ჩემი საქმროა, იცით რომ მე და იბ კრთმანეთთან ცოლ-  
ქმრულის გაფშირისათვის საქმეებოდ გაგდესართდეს,  
და გსაჭესებეს?! — მურუ მეზეს მოუბრუნდა — და მენ დევან,  
ნუ თუ მენს ფიცხს, სიევარულს, სიბრალულს ეს დაღუ-  
რი მოსდევდა, ნუ თუ გხერძ, რომ ისედიც ტანჯულია,  
დამწერებულები, შენგანაც უფრო ტანჯული ვაუღ? დემი,  
შენდამი ჩემი წრთელი სიევარული შედასე და შენც სხვა-  
ცე მცველი? თითქოს გებრალებოდი, გიუგარდი, მამხა-  
ვებდი, მეფიცებოდი — უველავერში შენი თანაზიარი ვი-  
ნებით, შენის გულისოფას მთელ ქვეჩას შევუძროდა  
ბიო... მენ...

გაშტერებული მდვრევი და ხალხი გთხს მოვიდნენ  
ას ფონზე შიხვიდი ქადი უბრესიდგან გამდიორანეს.

1

1912 წელს შაიხის ერთ დღესას თბილისში უმ-  
თავრენეს ქუჩათ მოვდიოდი. ჩემს წინ, დიხაკის ნაბიჯით  
შინობებული სამუალოზე ცოტა მაღალი, წერწეტი მარხდე-  
ნილი ცანის ახალგაზრდა ქალი, რომელიც დარიაბად-  
იურ ჩატმელი, ძაღლაშ თითქმის უკელა გამოვლენ-გამომ-  
ვლენის უკრაფლებას იქცევდა.

წინ რომ ვუკადე და დავაცემოდი, ჩემს განცვილებას საზღვარი არა ჰქონდა: ეს იეთ ჩვენი სატო, ჩვენი მაღრანელი ხატო. ჩემ გამოდაპარა კებაზედ ხატო მე-წითლდა, თითქო შერცხვა ხაცნობის შეხვედრა, მაგრამ ღიმილით მაინც სალაში მომცა და შეკითხვაზედ აღეღ-ჯებულმა მისახურა:

— ხომ იცი, დათ, რაც გარდამხდა იმ უბედურების  
შემდეგ — ნატო შეურცოდდა. — კო, იმ უბედურების შემ-  
დეგ, იმ დაწმენდიდ სოფლაზ რადას მეღვიძმანებოდდა,  
ხა თუ ვითმენდი ჩემ შეურაცხმეოველ ბრძოთა ხრდა მი-  
კოფხას, დევანის სიკვარულით. რაკი იძანაც მიღადაც,

მის კვრის წერის შეთანე დღესვე, შვილებით ჩამოგედ  
ქადაქში. მინდოდა თავი მომევდა, მაგრამ უცდებისთ-  
ვის აბა რა მეუთ. დაგიქირავე შვილ-პაზის, სარდაფი  
და ჩემი მცირე იარგი-ბარხანით შორის-გრძელებულიან,  
აშშორებულ სადგომში. ბავშვები სახლში ვტოვებდი, მა-  
გი ქა-იქ სახლებში დაკრისებული დუქმა ჰურის საშოვ-  
ნელად. ზოგან მატელს გწერდი, ზოგან ბუშტელს ვარ-  
ჩევდი, ზოგან გრეცხდი, ვაულობებდი, ვაბერებდი თე-  
რეულს, წინდები გქსოვდი, საჭმელს ვაკეოებდი და აშ-  
შორმის უცირე სახუალდო სახევრად მშიერ-ტატმელ  
შვილებს ვარჩენდი და ყირჩებ თაქს დვთის მაღლათ, იქი-  
არ კემდეური და იძის შემდებ, რაც გადამხდა, რაც მა-  
ჭირი და ვარამი გამოვიარე ეხლანდედი ცხოვრება ჩემ-  
თვი, თუ არა, შვილებისთვის მაინც ქვირაფხი მკო-  
ნია.

— დევნი? დევნი არ გაგონდება განა, მაგებით, ისნავრმნილია.

— აა ვქნა რომ მაგონდება, დმურთმა აპატიოს წე-  
ში დადატი და შე კი ცხდი არა მაგონდება რა იმისი;  
თუ კარგი იქნ რამ წერ ცხოვრულაში — ისევ იმის წე-  
დობით, თორუმ სხვა რა მაჩახავს, გაათვა ნატომ და  
ნატარა ქუჩაში ჩაუხვია

მე ადამ გაგეღევნებ, რაკი გირქმნობდი, როგორ გა-  
ხდებოდა და ადალეგებდა ძალი ამბების მაგისტრის.

o6. ფილანდისა.

ხელივნება, როგორც ფაქტო-  
რი საზოგადოებრივ ცხოვრი-  
ბისა

არიან ერები, რომელთა ძლიერება შარტო  
კულტურულ ძლიერებით არ განიზომება. ძლიერი  
ფლოტი, დიდი ჯარი, განვითარებული ეკონომიკური  
ცხოვრება და ბოლოს ძლიერი თანამედროვე სახელ-  
მწიფო ორგანიზაცია — აი მთავარი ძალა მათი, რო-  
მელიც ჰქმნის მათ პრესტიჟს და ძლიერებას. მაგრამ  
არიან ერები, რომლებიც მოკლებულ არიან ყველა  
ამ ნივთიერ ძლიერებას და მაშინ მათი ძალის გა-  
მომსახველი კულტურის ისეთი სფეროებია, როგორიც  
არის მეცნიერება და ხელოვნება. ისეთ ერებს ეკუთ-  
ვნიან პატარა ერები, რომლებიც ისტორიულ, პო-

ლიტიკურ, კლიმატიურ და სხვა გარემოებათა გამო, ყოველივე სახსარს იყვნენ მუკლებულნი—შეექმნათ ძლიერი სახელმწიფო და, პირიქით, მუდამ განსაკუდელში იყვნენ ცხოვრების გზაზედ, რომელიმე ვეშაპ სახელმწიფოს არ გადაეყლაპა, არ ჩაენთქა, ან არ აღეგავა მიწის პირიდან. ისტორია გვიჩვენებს, რომ ბევრი ასეთი პატარა ერი მოისპო. მაგრამ თუ კიდევ სადმე შეინახა თავი პატარა ერმა—მხოლოდ მაღალ და განვითარებულ კულტურის სამუალებით და ძლიერის ხელოვნებით. არის ბრძოლის ისეთი იარაღები, რომლებიც ისე არა ვრგვინავენ, როგორც თოფ-ზარბაზნები, მაგრამ მათი მპყრობელი ძალა მით უფრო დიდია. ბევრი პატარა ერი უკვე გაუთანასწორდა დიდია და მძლავრ ერებსა და თუ მაგ., გერმანიის კულტურული ძლიერება ნახევრად ხმლით არის შექმნილი, სამაგიეროდ პატარა სკანდინავია უბრალო წერა-კითხვის მცირე მოქალაქებ იყვანა თანამედროვე კულტურულ სიმაღლემდე.

ურიად მრავალ-ფეროვანი და საინტერესოა ევოლუცია ევროპის კულტურისა და ისტორია წარსულის ცხოვრებისა, მარტო ომების და სისხლის ლყრის პოეზია ამ არის. ძლერ გერმანიის ჩრდილოეთ სამხლვაზე მოსახლეობს პატარა სახელმწიფო—დანია, რომლის კულტურა არაფრით ჩამოუვარდება გერმანიისას. შაგრამ, ამა გადაათვალიერეთ ისტორია ამ ორი სახელმწიფოსი. თავიანთ მაღალ კულტურას მათ მიაღწიეს სულ სხვა და სხვა გზით და ნათელ ჰყვეს, რომ ცხოვრება ამოცანაა, რომლის ახსნა, სხვა და სხვა სამუალებით არის შესაძლებელი. აიღეთ ისტორია გერმანიისა—ეს არის ისტორია ომებისა, ისტორია რეფორმაციისა, მუშათა ბრძოლისა და ინდუსტრიისა. გერმანიის ცხოვრება სავსეა გენიოს ადამიანებით, ძლიერ პიროვნებით, რომელთაც ხელში მძიმე ჩაქუჩი ეჭირათ და თავის ბმაურობით უველას აყრუებდნენ. სტეხავდნენ არა მარტო კლდე-ლრებს, რკინის გზების გამოსაყვანად, სტეხავდნენ და ამტვრევდნენ თვით ისეთ ღვთიურ ქმნილებას, როგორიც არის ადამიანის თავის ქალი, რომ შიგ ჩაეწყოთ ახალი იდეები, სწორე აზრები. სამაგიეროდ, რას წარმოადგენდა დანია—ეს ერთი კიქნა სახელმწიფო? საუკუნეთა განმავლობაში იგი ადგა თავის ჩუქ ცხოვრებას და გადმოდიოდა თავის საზღვრებს მხოლოდ მაშინ, როცა მას აიძულებდნენ, როდესაც საზოგადო პოლიტიკური კონიუნქტურა არღვევდა ამ საზღვრებს და ევროპას ევლინებოდა საშიშარი აჩრდილი საერთა-შორისო ომისა. და ვიდრე ევროპის ერთა ძლი-

ერება მარტოოდენ იარაღით განისაზღვრებოდა, დანია მუდამ გაქელილი და ჩრდილ მიუკნებული სახელმწიფო იყო, რადგან ფიზიკური ძალა მას არა ჰქონდა. თვით იდამიანებიც კი არ ფერდობებოდნენ მაშინდელ დანიას ძლიერ პიროვნებად. შესაბამის ჭავადა ძლიერი პიროვნებანი, რომლებიც წინააღმდევ სტიქიონისა, ვეგნიან ახალ ცხოვრებას. და მართლაც სწორე აზრი ერთ ევროპიელ მწერლისა, რომ ცველაზედ სახელ-განთქმული დანიელი—ჰამლეტი იყო, ესე იგი ჰამლეტი ლიტერატურული და ისიც შექმნილი არა თვით დან, ის ლიტერატურისა-გან, არამედ შექსპირის მიერ. აი, როგორი იყო ისტორიული ცხოვრება დანიისა. მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, უხეშმა ფიზიკურმა ძალამ, ომებმა და სისხლის ღვრამ გზა დაუთმეს კულტურულ მოღვაწეობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, ინდუსტრიის და პარლამენტარიზმს და დანია გაუთანასწორდა კულტურულად გერმანიის. ის კულტურული მუშაობა, რომელიც წაუმდვირა დანიას თავის ცხოვრებას, მრავალ-ფეროვანია, მაგრამ ყველაზედ დიდი როლი ამაში ლიტერატურამ ითამაშა. თუ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ყველაზედ სახელ-განთქმული დანიელი ჰამლეტი იყო, ეს ფრიად ეგზოტიური და მისტიური ლიტერატურული ქმნილება—იგი ამაყობს ეხლა ლიტერატურულ და ხელოვნების ტალანტებით და გეორგ ბრანდესი—სახელ-გათქმული დანიელი კრიტიკოსი, ნამდვილი შემქნელია დანიის ძლიერებისა. გეორგ ბრანდესი და მისი მომდევნო შოღვაწეები იყვნენ სწორედ ის მთმავარ-სარდლები, რომლებმაც დანია ევროპის კულტურულ სახელმწიფოთა და ერთა წრეში შეიყვანეს.

ნორვეგია უფრო უაღრეს მაგალითს წარმოვიდგენს იმისას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება თანამედროვე ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას იდენს და მრავალ შემთხვევაში სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორთა მაგიერობასა სწევს. რა იყო ნორვეგია? კლდიანი ქვეყანა, რომლის შესახებ კაცობრიობამ მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ კლდიან ქვეყანას ჩრდილოეთით ფიორდები აქვს. პოლიტიკური კონიუნქტურა ნორვეგიისა იგივე იყო, რაც სხვა პატარა ერებისა. იგი გახდა მსხვერპლი შვეციის ოდესალიც უოფილ ძლიერებისა და თუმცა გარემოება აღარ ამართლებდა მდგომარეობას, თუმცა თვით შვეცია აღარ იყო ძლიერი, მაგრამ პოლიტიკური ბატონობა მისკენ იყო გადასული და ადრე თუ გვიან დინასტიული საკითხი, შესაძლებე-

ლია, პოლიტიკურ საკითხად გადაქცეულიყო და ნორვეგიას თავისუფლება დაეკარგა. ეს არ მოხდა, ნორვეგია გამოეყო შვეციას, მაგრამ ფრიად სინ-ტერესთა, რით მთახერხა ეს ნორვეგიაში? არა ომებით და სისხლის ღვრით! და აქაც, როგორც დანიაში, გენერლების და მინისტრების როლი ლიტერატორებმა და ხელოვნების წარმომადგენლებმა შეასრულეს. იბსენიმდის ნორვეგია და მისი კულტურა უცნობი იყო ევროპისთვის, მაგრამ გაჩნდა იბსენი, მას მოჰყვნენ სხვა მწერლები და ევროპა მოიხიბლა ნორვეგიის ლიტერატურით. ერმა სიამაყე იგრძნო, მან შეიგნო რა საუნჯეს ჰუარავდნენ ეს გაციებული კლდეები, მან შეიყვარა თავისი სამშობლო სიამაყით, იცნო თავისი თავი, როგორც სწორი დედამიწის ზურგზედ და როცა დადგა დრო, ნორვეგიას უფრო შეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ვიდრე შვეციას. იგი ჩამოშორდა უციას ისე, რომ ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობაც ვერ მთახერხა.

მაგრამ, თუ რა ძლიერი ფაქტორია ხელოვნება თანამედროვე ცხოვრებაში, ამის უფრო უკეთეს შეგალითს წარმოადგენს ჩეხიის ცხოვრება. შეხედეთ ჩეხიის რუქას და თქვენ შეგაშინებთ ბედი ამ ხალხისა! იგი გარშემორტყმულია გერმანელ ძლიერ სახელმწიფოებით, დიდის კულტურით და გაწვრთნილის ჯარით. ჩეხიის ცხოვრებაში ბევრი რამ არის შესასწავლი სხვა პატარა ერებისთვის. ჩეხია ეხლა ის აღარ არის, რაც იყო ამ ორმოცდაათი წლის წინად, მაგრამ რაც იყო იგი უშინ, ამას შეუძლიან აღამიანი ერთსა და იმავე დროს სასოწარკვეთილებაშიც ჩააგდოს და გულში იმედიც აღუფროვანოს. მართალია მას არა აქვს ისეთი ძლიერი ლიტერატურა, როგორც ნორვეგიას და დანიას, მაგრამ ჩეხებმა უურადღება ხელოვნების სხვა დარგს მიაპყრეს და თამამად შეგვიძლიან ვსოდეთ, მუსიკა იყო ჩეხიაში ის ფაქტორი, რომელიც ერის აღორძინებას საძირკველი ჩაუყარა. ჩეხიის კომპოზიტორები დვორეავი და სმეტანა, რომელთაგან ერთი უბრალო მელორე იყო და ნოტები და საზოგადოთ წერა-კითხვა პირველად თვრამეტის წლისამ შეისწავლა — ნიჭით ისეთი ძლიერები არ იყვნენ და ვერც ისეთი მსოფლიო სახელი მოიხვევეს, როგორც იბსენმა და ბრანდესმა, მაგრამ მათ შეჰქმნეს სამაგალითო ჩეხეური მუსიკა და პრაგა, ჩეხიის დედაქალაქი, მუსიკალურ ცენტრად აქციეს. — მუსიკის წყალობით პრაგამ მთელი ევროპის უურადღება და იმსახურა; ჩეხებს დაუწყეს ცერა, როგორც ევროპიულ ერს და მუსიკის მასწავლებლები, რომელთაც

იძლეოდა ჩეხია — უპირველესი პროპაგანდისტები იყვნენ ჩეხეურ კულტურისა. და თუ მართალია, რომ ოდესაც საყვირებმა იერიქონის კედლები დაქცუებს, ჩეხეურმა მელოდიებმაც სწორედ უსურიალენეს. მათ პირველებმა დაანგრიეს ის ცენტრებში უცოტო მარტინი მელოდიებშიაც იხრჩობოდა ჩეხია და პირველებმა შეკვენეს კულტურული წერმოდგენა ჩეხიაზედ; და ამით აღფრთოვანებული ხალხი, გულმოდგინედ შეუდგა თავის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრების გაუმჯობესებას.

ასევე ითქმის სხვა ერებზედაც; ტკბილი მალოროსიული მელოდიები პირდაპირ პოლიტიკურ პროპაგანდის როლს ასრულებენ და აღვიძებენ რა პატრიოტიზმს თვით მალოროსებში, იმავე დროს ყველა აშკარად ეუბნებიან, რომ ცოცხალია კრდევ ნალოროსთა ხალხური სული, რომელიც ოდესებ სხეულს შეისხავს.

ყველა ზემონათქვამიდან, რასაკეირველია, არ შეძლება იმის დასკვნა, რომ ზემოაღნიშნულმა ერებმა მხოლოდ ლიტერატურით და მუსიკით მიაღწიეს თავის პროგრესს. ისინი ბედნიერები არიან კიდევ იმით, რომ ანვითარებდნენ ცხოვრების სხვა დარგებსაც, მაგრამ ღრმად უბედურნი იქნებიან რსერები, რომლებიც ვერ შეიგნებენ ხელოვნების დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხელოვნება და ლიტერატურა საქართველოსი ძველია, ისე ძველი, ვით თვით საქართველო და ისინი მუდამ ქართულ კულტურის მაჩვენებელნი იყვნენ. დაეცა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი და მისი ხელოვნება და ლიტერატურა ამ ნანგერევებში მოჰყვნენ. საჭიროა, ამ ნანგრევთა გადაწყვენდა, საჭიროა ამ აკლდამის ახსნა, რომ სხეული ხალხისა, როგორც ცოცხალი დამარხული, განთავისუფლებულ იქმნას. და ეს მოვალეობა უმთავრესად ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა იკისროს. ჩვენი თქმულებანი ისევე პოეზიით სავსენი არიან, როგორც ნორვეგიული „საგები“, ჩვენი ხალხური მელოდიები — ისევე თვალ-წარმტაცი და ნაზნი არიან, როგორც ჩეხეური პინგები და ამ მხრივ ჩვენს თაობას მრავალი საჭმე აქვს გასაკეთებელი, საჭიროა ცოდნა, საჭიროა ნიჭი, რომ ეს მოხდეს, მაგრამ ყველაზედ მეტად საჭიროა შეგნება და თანაგრძნობა, რომ ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილი ხალხი უშიშრად ჰქმნიდეს თავის საჭმეს.

## უგანდასკნელი ომბები

**ახალი ქართული შენობა.** როგორც მოქსეუნება ჩვენს მკითხველს, თბილისის საკუთარ ახნაურობანები შეუდგა კიდეც საკუთარ ახალ შენობის აგებას, რისთვისაც გადადებული აქვს 400,000 მანეთში (ადგილის შესაძენი და სამშენებლო თანხა). ამ ახალ შენობის პროექტი დამტკიცებულია კიდეც ბანკის გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტისაგან. სამწუხაროდ, დამტკიცებულ პროექტს მოლონი ხასიათი არა აქვს; იგი შეკონტინებულია რამდენიმე სხვა და სხვა პროექტისაგან და როგორც კომპლექსურ წრეებში ამბობენ, ხსენებული ახალ ქართულ ბანკის პროექტი არც გარეგნობით (სტილით) არც შიგნითი მოწყობილობით საკმარისად ვერ აკმაყოფილებს საბანკო შენობის მოთხოვნილებათ. არ ვიცით რამდენად მართალია ეს ეჭვები, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რა დაწყევლილი ბედი სდევნის ქართულ სამშენებლო საქმიანობას (ქართული თეატრი, ქართული გიმნაზია, ილია ჭავჭავაძის ძეგლი, თავის მრავალ არქიტექტურულ და სააკადემიურ ნაკლებით), რომელმაც აუარებელი ფული წაიღო, მაგრამ არაფერი შესანიშნავი ან შეკიდრი შენობა არ შესძინა ქართულ სახოვალოებას, ამ ახალ ეჭვებმაც არ უნდა გაგვაკვირეონ.

მართალია, პროექტზე ლაპარაკი ეხლა ნაგვიანევია, რადგანაც მუშაობას კადეც შეუდგნენ, მაგრამ უდროო არ იქნება ამ საქმის მოწყობის სხვა რიგის ნაკლებედ მიეცოთთოთ. სამშენებლო კომისიაში, რომელსაც ჩაბარებული აქვს ბანკის შენობის ბედი, მირტოდ მარტო სამი პირია არჩეული: ბანკის გამგეობის თავმჯდომარე უგანათლებულესი თავიდი მ. გრუზინსკი და ორიც ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. ივ. ბარათაშვილი და თავ. დავ. ჯორჯაძე. მათ შორის თავ. მ. გრუზინსკი ისეა დატვირთული ბანკის ჩვეულებრივი საქმით, რომ კომისიაში მუშაობის ვერ შესძლებს; თავ. ი. ბარათაშვილს და დ. ჯორჯაძეს კი, რასაკვირველია, ძალიან გაუქნელდებათ ამ როტულ საქმის მარტოდ გაძლოლა, როგორც გაუქნელდათ ეს, როცა ისინი ქართულ თეატრის შენობის საქმეს უძღვებოდნენ (თუ არ ვცდებით ი. ბარათაშვილი და დ. ჯორჯაძე ქართულ თეატრის სამშენებლო კომიტეტის ორი აქტიურთაგანი წევრნი იყვნენ). ბევრი შეცდომები იყო მაშინ, შესაძლოა ეს შეცდომები კვლავ განმე-

ორდეს, თუ მათ არ მიეცელებათ კიდევ რამდენიმე მცოდნე პირი. მაგალითად, თუ მართალია ის ტომ ვითომ მათ ბანკის შენობის მასალების მიმღებად მიუწვევიათ თავ. ნ. ვახვახიშვილი (ყოფილი გრაფი ბაზრის უფროსი) ეს პირველი და დატვირტებულისა, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ თავ. ვახვახიშვილს ამ ფრიად სერიოზულ საქმეში, როგორც სამშენებლო მასალების გასინჯვა და მიღებაა, ბევრი არა უნდა გაეგებოდეს რა. შესაძლოა, ამ კომისიას უნდებლიერ სხვა შეცდომებიც მოუკიდეს და ბანკის სახლიც ისეთ დანაის უძირო ქვევრად გვექცეს, როგორც ს. აზნაურო გიმნაზია. ან ისეთ არქიტექტურულ „გაუგებრობად“, როგორიც ქართული თეატრია. ჩვენის აზრით, ბანკის გამგეობა მოვალეა უფრო აქტიურად უვლიდეს საკუთარ შენობას, რომ საქმე თავში საცემი არ გაუხდეს თვითბანკს და ქ. საზოგადოებას. ნამეტნავად სიფრთხილე პრატოებთ ამ საქმის გამდლოლი იმ მაგალითების შემდეგ, რომელნიც... ამართულიან კი, მაგრამ დღესაც გული აწყლულებენ უნუგეში მდგომარეობით. და, ჩვენის აზრით, საქმის სასარგებლოდ, ხსენებული კომისია უნდა შევსებული იყოს კიდევ 3-4 მცოდნე კაცით, და არა მარტო ბანკის მართველობის, არამედ ბანკის რწმუნებულთა წრიდანაც, რადგან ეთიკასაც მოკლებულია, რომ ამ შენებელი საზოგადო დაწესებულებისა, იმავე დროს პასუხის მგებელიც იყოს. მხოლოდ, ყოველ შემთხვევაში კი ამ შენობის საქმის პასუხის მგებელი თავის თავის წინაშე ბანკის გამგეობა არის. თუ რამე გაუჟღვება, მას მოეთხოვება ამიტომ საჭიროა გამგეობაში ეხლავე უზრუნველყოს ამ ძირფას შენობის კეთილი ბოლო.

**სილნალის ხაურთი-ერთონ ნდობის საზოგადოებას** სახელმწიფო ბანკმა (თბილისის განყოფილებამ) 10,000 მანეთის კრედიტი გაუხსნა. ეს დადგენილება თბილისის განყოფილებისა გაგზავნილია პეტებურგში, ცენტრალურ მართველობაში, დასამტკიცებლად.

**საპოლიტენიკუმი ადგილისათვის სადეპუტატო საკრებულოს საბურთალოზე მოუგროვებია 244 დესეტინა მიწა. ყოველ შემთხვევაში მზადა აქვს და შეუძლიან კიდევ მიაწოდოს პოლიტენიკუმს ზედეტი 50 დესეტინა.**

**საადგილ-მამულო კომისიის ანგარიშებიდან სჩანს, რომ კომისიის 6 წლის განმავლობაში მოუ-**

რიგებია 158 საქმე მიწის სყიდვა-გაყიდვისა. კომი-  
სიის შუამავლობით მამული შეუსყიდნია 9,994  
კომლ გლეხვაცს, ზომით 38,438 დესეტ. 1,712  
ოთხკ. საჭ., ორჩებული 1.851,082 ა. 17 კაპ.

1912 წელს კომისიამ შიწის სყიდვაში უშველა  
172 კომლს, რომელთაც შეიძინეს 1,853 დეს. 427  
თოხქ. საფ. 35,690 მან. 70 კაპ. ღირებული. მათ  
შორის მიეშველა სესხით: ამხან. „საქობოს“—  
1,700 მან., ამხან. „დიდველას“—400 მან. და  
კლებ რაჯაბაშვილებს—740 მან.

მასთან ერთად გასცა სესხები: მევენახეთა საზოგადოება „კახეთის“ — 40,000 მან., მერძევეთა ამხანაგობა „ანკარას“ — 300 მანეთი, მერძევეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „ლილოს“ — 10 · 0 მანეთი, ცნობილ მეხილე ს. ს. ხეთაგურის სამაგალითო ხილის სანერგის მოსაწყობად 3,000 მან. ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას — 7,500 მან. და ყაზბეგის საქსოვ სკოლას — 300 მანეთი. (ორი უკანასკნელი თანხა გაცემულია დაუბრუნებლად).

მომ ვალ კვირას 23 თიბათვ ს საღეპუტატო  
საკრებულოში შესდაება თავად აზნაურთი საგუბერ-  
ნიო ყრილობა.

განსახილველი საგნები ამ ყრილობისა მეტად  
საკურრაცლებოა:

1. მოხსენება დამატებით ხელშეკრულებაზე და კახეთის რეინის გზის აქციების შემდეგზე ასეთი მოხსენება ვალი გადასახლებული ფულის ნაწილის საერთო საქმეებისთვის მოხმარებისა.
  2. მოხსენება პოლიტეხნიკურისტურის შიდა შეძენის შესახებ.
  3. საკითხი სანადევლო მიწის გამოსყიდვაში მიღებული ფულის ნაწილის საერთო საქმეებისთვის მოხმარებისა.
  4. მოხსენება დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის ხსენების უკვდავ ყოფის შესახებ.
  5. მოხსენება - საოვალ-აზნაურო სახლის უკვდავსად ექსპლოატაციისა.
  6. საკითხი საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციისა.
  7. კომისიის მოხსენება - საოვალ-აზნაურო კასის რევიზიის შესახებ.
  8. 1912 წ. ანგარიშის განხილვა და 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
  9. მოხსენება - თავ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონის ანდერძით თავად-აზნაურობისთვის დატვებულ მიწების შესახებ.

# სომხები აღმოსავლეთ საქართველოში

ჩვენს ფურნალს არა ერთხელ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთვის უცხოელებს განსაკუთრებული ყურადღება იქვთ მიქ- უცხლი და დღითი-დღე მათი რიცხვი აქ იზრდება და მრავლდება; მეტადრე იმ რაიონებში, სადაც ქართველობის მაჯა სუსტადა სცემს. ოუ ხსენებულ

რაიონებში სომხების მცხოვრებთა სტატისტიკას მივ-  
მართავთ და ამისათვის შევადარებთ ორ წელს —  
1886 წ. და 1911 წ.—ამაში ნათლად დავრწმუნ-  
დებით. მასთან ერთად ცხრილში ვაჩვენებთ შესაძა-  
რებლად ქართველ მცხოვრებთა რიცხვსაც.

	1886 წ. *)	1911 წ. *)		
	ქართველი	სომები	ქართველი	სომები
თბილისის მაზრა (ქ. თბილისი)	67,552	49,364	98,125	129,420
ახალციხის „ — — —	23,188	15,042	8,224	28,996
ახალქალაქის „ — — —	3,741	46,284	6,806	76,446
გორჩალოს „ — — —	4,173	27,188	7,937	65,591
სულ . . .	88,654	137,878	121,092	300,453

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ 25 წლის განმავლობაში ქართველ მუხოვრებთა რესტრაცია იმატა

32,438 კაცი, მაშინ როდესაც სომებთა რიცხვება  
162,575 კაცი. სომებთა რიცხვი დღეს  $2\frac{1}{2}$ —ჯერ  
აღემატება ქართველობას, სამხრეთ-აღმოსავლეთის

\*) „Кавказские календари 1897 г. и 1913 г.“

კუთხეში, ამ საუკეთესო და შესანიშნავ საქართველოს ნაწილში, თავის სამი ქალაქით — თბილისით, ახალქილაქით, ახალციხით.

რა გასაკვირველია ეხლა რომ ყველაფერი ამ კუთხისა სომხების ხელშია? და თუ მათი ზრდა მომვალშიაც ამ პროგრესით გაგრძელდა (ამაში კი დარწმუნებულნი ვართ, რადგანაც დღეს ოსმალე-

თის სომხებს მთავრობამ ამიტ კავკასიის კარგბი გაულო და გზაც უჩენა: „საქართველოში“! მაგლი აღმოსავლეთი საქართველოც მაღაქეთის მომართვის და საბოლოოდ დაშავებულების ურუქული მისამართ უმაღ გადაიქცევა.

S.

## საკოოპერაციო კურსები

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შეუდგა მოკლევადიან საკოოპერაციო კურსების მოწყობას ქ. თბილისში. ნებართვა გუბერნატორი-საგან უკვე მიღებულია და საზოგადოება უგზავნის

კიდეც ჩვენს კოოპერატიულ დაწესებულებათ — მოწყდებას და პროგრამას, რომელიც ქვევით მოგვყავს.

## ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

თბილისი, 12 ივნისი 1913 წ.

ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება მართავს ქ. თბილისში კოოპერატიულ კურსებს.

კურსები მოკლე ვადიანია და გაგრძელდება სულ ათს დღეს 15—25 ივლისამდის.

კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები კოოპერაციის სხვა და სხვა საკითხებზე, ხოლო უმთავრესი კურადღება აქვს მიქცეული სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის!

ლექციებს წაიკითხავენ რუსულად და ქართულად. ლექტორებად მოწვეულნი არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც.

ლექციები განხრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის და უმთავრესად იმათოვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირებს.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ თბილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ამათ შეეძლებათ უფასოდ მოსმენა ყველა ლექციებისა (გადახდებათ მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდე). საზოგადოებას ნაშოვნი აქვს 40 კაცისათვის უფასო ბინა და საშუალება ექნება ამ 40 კაცს სასმელ-საჭმელი მიაწოდოს დღეში არა უმცირეს 30 კა. თითოს.

რადგანაც უფასო ბინის და შეღავათიან პირობებში საჭმელ-სასმელის მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია, საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსულია მოისურვებს, შემოუთვალოს ეს საზოგადოებას (აღრესი: თიფლისი, ბარეთინეკა 5, გრუზინскому Обществу Сельского Хозяйства) არა უგვიანეს 1 ივლისი. თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვისი განცხადებაც უფრო აღრე იქნება მიღებული.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციების მოსმენა ელირება 2 მან. ან თითო ლექციისა (1-2 საათი) 20 კაც.

### პ რ თ უ ა მ ა კ უ რ ს ე ბ ი ს ა:

1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად) ლექტორი სვ. რ. ვახვახიშვილი.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8—12 საათი (რუსულად).

ლექტორი ა. ევდოქიმოვი.

3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6—7 საათი (რუსულად)  
ლექტორი ა. ა. ოჩლოვი.
4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კონცერტ.  
დაწესებულებებში—12 საათი (ქართულად) ლექტორი კ. პ. კანდელაკი.  
და ა. მ. კახელაძე.
5. მომხმარებლი საზოგადოებანი 5—6 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ოჩლოვი.
6. კონცერტიული მოძრაობა საქართველოში—4 საათი (ქართულად)  
ი. გ. ჭუთათელაძე.
7. ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება და კონცერტი—3 საათი (ქართულად)  
დავ. გ. გაჩიაძე.



### ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

ჩვენ ძლიერ მოხარულნი ვართ, რომ ქ. ს.—  
მეურნეო საზოგადოება ამ პრაქტიკულ გზის დაადგა  
და იმედი გვაქვს იმ შეუშინდება პირველი ნა-  
ბიჯის მოსალოდნელ სისუსტეს და შეცდომებს.  
უნდა მოველოდეთ, რომ საზოგადოება და არსებაც  
მხარს დაუჭერს ამ ფრიად საგულისხმოებს საქმეს და  
მსმენელებსაც ბევრს მოინიღოთ; რაც ისე საჭიროა ეხდა,

რაც ჩვენში მეტად გაძლიერდ საკრედიტო კონცერტია  
და თანდათან იზრდება კონცერტის სხვა დარგე-  
ბ-ც. ჩვენის შერით, ჩვენც პოუწოდებთ უკეთა სა-  
კონცერტით დაწესებულებათა გამგეო და ვთხოვთ  
სხვა განეთებსაც გადაბეჭდონ ქ. ს.-სამეურნეო სა-  
ზოგადოების მოწოდება.

## თხოვნა ქართველ მაჰმადიან ოჯახის

სოფელ აწყურში მოსახლეობს ერთი ბეგი  
(თავადი შვილი), ქართველი მაჰმადიანი. რომელიც  
თავის შვილებს ზრდის გორის სამას-  
წავლებლი სემინარიაში. მისი შვილები შესაფერად  
ლაპარაკობენ და სწერენ ქართულს და გულითაც  
ქართველნი არიან. ამავე ბეგს ჰყავს 11—12 წლის  
ქალი, რომელიც სწავლობს აწყურის საექლესიო  
სკოლაში, საცა მასწავლებლად იმყოფება მლვდელი  
ეფრემ ინასარიძე, რომლის შეცადინეობით, ბილ-  
ლოსთან ერთად (სახელი ბეგის ქალისა) სხვა მაჰ-  
მადიანი ქართველებიც სწავლობენ, სხვა საგნებთან  
ერთად, ქართულსაც. თვითონ ბილილო ნიჭით სავ-  
სე და სწავლის წყურვილით გატაცებული გოვთა  
და დიდი მოყვარული ქართული წიგნებისა.

ამ ბავშვს, ძლიერ სწყურიან სკოლაში სწავ-  
ლის გაგრძელება. რადგან თვით აწყურის სკოლას  
ბილილო მალე ამთავრებს, მამისა და ძმების აზრით  
სახლში ჯდომა ხელს ირ მისცემს.

მამაც და თავის ძმებიც დიდი მოსურნენი  
არიან, ეს ბავშვი რომელიმე ქართულ სასწავლე-  
ბელში მიაბარონ, რადგან არა სურთ ბილილოს  
თათრულ-რუსულ სკოლაში აღზრდა: ამბობენ,  
ჩვენ ქართველები ვართ და გვსურს ჩვენი შვილი

## მაჰმადიან ოჯახის

ისეთ სკოლაში აღზარდოს, საცა განსაკუთრებით  
ქართველები იქნებიან და ქართულსაც ასწავლია-  
ნო.

მამის, მეტადრე ძმის სურვილია, ბილილო  
მონასტერში აღზარდოს, რადგან ცხოვრება იქ  
უფრო კარხაჟეტილია და მაჰმადიანთა ჩვეულებით,  
იმათ ქალს ამისთანა ცხოვრება უფრო შემცერისო.  
მხოლოდ იმას იხვეწებიან, ოლონდ რჯულს ნუ შე-  
უცვლით და ქართული აღზრდა მოეციოთ. ეს თქვენ-  
თვისაც და ჩვენივისაც მით უფრო სასარგებლოა;  
რომ „ჩვენი მამები დაინახავენ, რომ იმათ შვილებს  
ქართველი ქრისტიანები არ ნათლავენ, არა სურთ  
იმათი გაქრისტიანება და მაშინ ისინიც გავმედავენ,  
დარწმუნებულნი რომ მათ სინწმინდეს ხელს არ  
შეახებენ,— და თავიანთ შვილებსაც დაუწყებენ ში-  
ბარებას ქართულ სკოლებში, და ეს, თუ თქვენ გულ-  
წრფელადა გსურთ, რომ ჩვენ ქართული ლაპარაკი  
არ დავივიწყოთ, ქართველებს არ მოვწყდეთ,—  
პირდაპირი გზა იქნება მიზნის განხორციელებისად-  
მით“.

მართლაც, იმ კიდევ ერთი მაგალითი. როგორ  
სოფელ შურტოლდან სოფ. ქართ-მაჰმადისა ბატონ  
ალექსანდრე ყიფშიძეს სურდა წამოეყვანა იქაური მაჰ-

მარიანი ბავშვი, გვარად ხმალაძე, დედ-მამა არას გზით არ აძლევდა იმის შიშით რომ ქართველები ჩვენ შვილს წაიყვანენ, ქართული მონათლივენ და შვილი დაგვეკარგება. \*) მაგრამ როცა დარწმუნდნენ დედ-მამაც და სხვებიც რომ შვილი მათი არამც თუ არ მოუნათლივთ, პირიქით მათი შვილი ქართულ გიმნაზიის მეოთხე კლასში ბრძანდება ისევ თავის რჯულზე დარჩენილი, მეზობლებთან თავიც მთაქვთ: აი ჩვენი შვილი ნასწავლი გვყავსო. მეზობლებიც, დარწმუნებულნი მაგალითით, რომ შვილი ისევ მაჰმადიანი რჩებათ, ახლა პირ იქნით იხვეწებიან, წაიყვან ჩვენი შვილები — ასწავლეთო. მხოლოდ სამწუხარო ის არის, არა ვინა პყავთ ხელის შემწყბი, რომ იმათ შვილებს გზა გაეხსნას სწავლისაკენ.

ჩემი იქ ყოფნის დროს, სხვათა შორის ბეგის თხოვნა ის იყო, როგორმე მოგვიხერხეთ, ეს ქალი საღმე ქართულ სკოლაში მიგვაბარებინოთ და ამითი გზა მისცეთ საღმე ჩვენ ქალსაო. უფრო კი იმათი სურვილია მცხეთის მონასტერში მისცენ თავიანია შვილი, თუ კი სარწმუნოებას არ შეეხებიან. ამბობენ, დევ ასწავლონ ჩვენ შვილს ყველაფერი, რასაც კი მონასტერში გადიან, ოღონდ რჯულს კი ნუ შეუცვლიანო.

ახალციხის მაზრიდან (ვგულისხმობ ქართველ მაჰმადიანებს) არა მგონია, რომელიმე ქალს ასწავლიდნენ საღმე და თუ ასწავლიან, ისევ ბაქოს მაჰმადიან ქალთა სასწავლებელში. ეს შემთხვევა კი ქართველმა საზოგადოებამ ხელიდან არ უნდა გაუშვას, უნდა მოახერხოს როგორმე და იმათ ქალიშვილს გზა მისცეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალი ნიჭიერია, მერე მოელ ოჯახსა სურს თავიანთ შვილის ქართულად განსწავლა და დიდი ცოდვა იქნება არ ვისარგებლოთ შემთხვევით ცოტ ცოტა მაინც მივიზიდოთ ქართველი მაჰმადიანობა საერთო-საკულტურო საქმეში. ჩვენ რომ ამ ბავშვს გზა მივუთ, მაშინ სხვა ოჯახებიც მიპარავნ იმათ მაგალითს და ეგები ცოტად თუ ბევრად, იმათ ქალიშვილებმაც დაიწყონ ჩვენ სკოლებში სწავლა. ქართულ სკოლებში აქა-იქ შეხვდები თითო-ოროლი ქართველ მაჰმადიან მოსწავლე ვაეებს და ქალებს კი სრულებით ვერსად ვერ შეხვდებით. და ეხლა კი, თუ ქართველი საზოგადოება მოინდომებს, ჩვენ ვკეთებდა ერთი ქართველი მაჰმადიანი ქალი, რო-

მელიც ერთ დროს დამცველი იქნება თავისი ძეველი და ეხლა დაკარგული ქართული ენისა. იმედო, ამ თხოვნას ქართველ მაჰმადიან ოჯახისას, ქართველი საზოგადოება ყურადღებით მოექცევა. მათ შეუწყობს თავიანთ სკოლებში მიღებით, ქართველ მაჰმადიანთა ჩატრევას ეროვნულ ფერხულში.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

თასონ კერძესელიძე.

## სახალხო უნივერსიტეტის გარშემო

ერთი ქალი მეკითხება: არ იცით რომელ უნივერსიტეტის სასარგებლოდ არის ეს სეირნობა, — ეხლა რომ უნდა ააშენონ, იმისათვის თუ? არა, უპასუხე მე — სახალხო უნივერსიტეტისათვის. სახალხო? განა ამისთანა უნივერსიტეტი არსებობს? მერე რას იკეთებს? თუმცა ჩემი მოსაუბრე გაკვირვებული იყო, მაგრამ, არც თუ მე მეოცა ნაკლებ: ქალაქში სკოლების და არ იცის არსებობა და მოღვაწეობა სახალხო უნივერსიტეტისა. სამწუხაროდ იმის უკოდინარი ელემენტები ბევრი მოიპოვება ჩვენში. შეიძლება იფიქტონ — ალბად არაფერს აკეთებს სახ. უნივ. და იმიტომაც არ იცნობენო. მაგრამ შემცდარი აზრია, რადგან სახ. უნივერსიტეტი მუყაითად მუშაობს და მიზეზი უყურადღებობისა უფრო სხვა მგონია. საზოგადოება არ არის, ან უკეთ რომ ვთქვათ, ნაკლებად არის დაინტერესებული იმ ხალხით, რომლის წინაშე დიდი სამსახურს ეწევა სახ. უნივერს. მართლაც, ეს ერთად ერთი კულტურული დაწესებულებაა, რომელიც დაუსახავს მიზნად ხალხის, დაბექავებული ხალხის კირ ვარამს გაეცნოს, ჩაიხედოს მათ გულში და რამდენადაც ძალა შესწევს, გასცეს პასუხი ყველა იმ კითხვებს, რომელიც ებადება მათ ცნობის მოყვარეობას.

ამ მიზნით სახ. უნივერსიტეტს აქვს სალამოს პირველ დაწესებითი სკოლები, საცა იღებენ მოწაფეთ, განურჩევლად წლოვანებისა, ეროვნების და სკესისა. 7—9 საათამდის კლასისკენ მიეშურებიან მუშაობისაგან დალლილ-დაქანცულნი, მაგრამ სწავლისთვის მუყაითნი შრომის შვილები. ამ სკოლებში თქვენ ნახავთ 12 წ. ბავშვს 50 წ. მოხუცის გვერდზე. როგორ ეწაფებიან თითოეულ სიტყვას მასწავლებლისას! აქ ასწავლიან წერა-კითხვას, ანგარიშს, ქართულს, რუსულს, მართავენ საუბრებს

\*) როგორც დანამდვილებით გავიგეთ, პირიქით პარივერთულ ალ. ყიფშიძეს, რომელიც იმ დროს მომრიგებელ-შუამავლად იყო, ისეთ ნდობას უცხადებდნენ, რომ მშობლებმა შვილი „აჩუქეს“ როგორც გინდა ისე ასწავლეო.

და კითხვებს და სხ., რაშიც თვითონ მუშები გულ-  
მოდვინეთ იღებენ მონაწილეობას.

სხ. უნივ. აქვს აგრითვე საღამოს კურსები,  
საცა დაიარებიან უფრო მომზადებული მუშები. აქ  
ისინი ისმენენ ლექციებს მეტნიერების სხვა და სხვა  
დარგიდან: ფილოსოფია, ისტორია ანატომია. ქარ-  
თული ლიტერატურა, ქ.ისტორია და სხვა, რომელ-  
თაც კითხულობენ მასწავლებელი ქალები და კაცე-  
ბი, იურისტები და სხ. ლექციების შემდეგ იმართე-  
ბა საუბარი. არსად არ შეამჩნევთ ისეთს, ცოდ-  
ნისთვის გათაციცებულ თვალებს. კითხვებს, რო-  
გორც სახალხო აუდიტორიებში. არა ერთხელ  
უკითხები შენს თავს — რატომ ჩვენ, ამ სახნების  
შესწავლის დროს, არ გვებადებოდა ესეთი მახვილი  
კითხვები, ისეთი ინტერესი სწავლისათვის. პირდაპირ  
განკუთრდება ადამიანი, თუ — სად წაუკითხავთ ამო-  
დენი, ან სად უსწავლიათ. კირაობით იმართება ჯურ-  
ლისათვის ხელ-მისაწდომ ფასებში საჯარო ლექციე-  
ბი ქალაქის განაპიროს, და აგრეთვე ზუგალაშერ-  
ლის სახლში. იმართება ექსკურსიები ზოგიერთი.  
ამ კოტა ხანში ეწყობა მუშა ქალთა მომლერალი  
გუნდია.

ერთი სიტყვით, ძალიან რომ არ გავაგრძელოთ,  
აღნიშნული დაწესებულება; მოელ თავის ძალოთ  
ნეს ახმარებს იმას, რომ გააუმჯობესოს უფეროები,  
მკრთალი ცხოვრება იმ მშრომელი ხალხისა. რო-  
მელიც შეადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ ბურჯ-  
ხა. ეხლა კი, ჩვენდა საუბრუოდ, მოაქრისოლუ-  
რი მხარე ძალიან ცეკვად არის სხ. უნივერსიტეტისა. სეირნობამ სულ 15—20 შან. მოგვცა, არ-  
საიდან არაფერი სახსარი და საშინელი საკითხი  
დგის ჩვენ წინა: ყოფნა არ ყოფნა ამ დაწესებუ-  
ლებისა და სურათი, რომ რამდენიმე ისეულ მუშას  
დაეხურება სწავლის ტაძარის კარები.

### ლექციონი 8-ი.

— ასესად —

## დიმიტრი არაუიშვილის კონცერტი

წარსულ შაბათს ქართულ თეატრში დიმ. არა-  
უიშვილმა კონცერტი გამართა. კონცერტმა მრავალ  
საზოგადოებას მოუყარა თავი, რაც აიხსნება იმი-  
თაც, რომ ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორი პირველად  
აცნობს ქართულ საზოგადოებას თავის მუსიკურ  
ნაწარმოებთ.

კონცერტის წინ ბ-ნ. არაყიშვილმა მოყენე და  
დასაბუთებული მოხსენება წაიკითხა ქართულ შესი-  
კის შესახებ. როგორც ჩვენ შევიტყეთ, ეს ღვევებია  
შესავალი იქნება იმ წიგნისა, რომელიც თურქულშეფან-  
ზრახულია ვამოიცეს მოსკოვში და შეასრულებულ შე-  
ებება ქართულ მუსიკას. მოხსენებამ დიდი შთაბეჭ-  
დილება მოახდინა მამენელებზედ და მომხსენებელი  
ხანგრძლივის ტაშის კვრით იქმნა დაჯილდოვე-  
ბული.

შეორე განყოფილებაში ბ. არაყიშვილმა ერთ-  
ხელვან ხალხურ სიმღერათა დემონსტრაცია მოახდი-  
ნა, მაგრამ მთავარი ღერძი საღამოსი მესამე და მე-  
ოთხე განყოფილებანი იყვნენ. მესამე განყოფილე-  
ბაში შესრულებულ უქმნებ უმთავრესად ვოკალური  
ნაწარმოებნი ავტორისა და საჭიროა აღნიშნოთ,  
რომ სტილისა და მრავალ-ფეროვანების მხრივ ეს  
განყოფილება მეტად შინაარსიანად იყო შედგენი-  
ლი. აქ იყვნენ საკუთრივ ქართული ჰანგები, ალ-  
მოსავლებური და საზოგადო-ევროპული. მეტად  
დიდი შთაბეჭდილება დასტოად მსმენელზედ თამარ  
დედოფლის კავატინამ და აღმოსავლეთურმა ჰანგმა  
„ჩე ცარცვე როი ი ვიზ“ როგორც ავტორი — დ.  
არაყიშვილი. აგრეთვე აღმასრულებელნი ჭ—ნი კუ-  
ლოტოვისა და ბ. სარაჯიშვილი მრავალჯერ იქმნენ  
გამოწვეულნი.

შეოთხე განყოფილება მთლად ავტორის სიმღო-  
ნიურ ნაწარმოებაზეან შესდგებოდა. შესავალმა —  
„თქუმუ — ება რუსთაველზედ“, ნათლად დაგვნახვა.  
რომ ბ. არაყიშვილი სერიოზული და ნიჭიერი კომ-  
პოზიტორია. სხვა ნომრებიც აღტაცებას იწვევდნენ  
და ორკესტრისაგან გამეორებულ იქმნენ. ზშვენივ-  
რად არის დაწერილი „ლექციები“. პატარა მაგრამ  
მოხდენილი „ცეკვა ესერიალდასი მსმენელთავის  
მუდამ სასიამოვნო და მოუწყინარი დარჩება. რცე-  
ვა ესმერალდასი“ სულ სადა მუსიკალური ფრაზაა,  
იგი პატარა განცდაა ავტორისა და, რახავირვე-  
ლია, უპრეტენდით თხზულებად უნდა ჩაითვალოს,  
ავტორის სხვა თხზულებათა შორის. მაგრამ მასში  
გამოსჭვივის სწორედ ის, რასაც ეძახიან ღვთის ნა-  
პერწერას და ავტორის ნიჭს, ამავე განყოფილება-  
ში იქმნა აღსრულებული ივ. სარაჯიშვილის მიერ  
ამოსინის სიმღერა“ ქალთა ბოროთი და ორკესტ-  
რის კუმპანიმენტით.

დასასრულ საზოგადოებამ და ორკესტრმა ხან-  
გრძლივი ოვაცია გაუმართა ბ. დიმიტრი არაყიშ-  
ვილს. მიართვეს ყვავილები და ნისიამოვნები და  
აღფრთვანებული საზოგადოება დიდხანს არ იშლე-  
ბოდა.

რაე.

### რედაქტორ-გამომცემელი


რ. გაბაშვილი.



მ თ ი თ ხ ო ვ ე თ უ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ჩვინო


საზოგადოება „კახეთი“-ში



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატარა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუმჯობეს 1,000,000 ვერტონ ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქცი განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-  
ბადში, ტაშკენში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში,  
ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის კარალებ-გადმოწერა

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მიმდინარეობა საზოგადოება „კახე-

თი“ დაარსებულია 1894 წელს. სა-

ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-

ხეთის“ საზოგადოების ფავნიას არით

866%, დესტინა 306აზი. საიდამა

უზიდავინ საზოგადოებას ნამ-

დვილ კახურ ღვინოს!

## ჩალა მრთველება!

კახელებო! ჩიეჭერეთ საზოგადო-  
ების წევრებად და ამით დაიხსენით  
თქვენი სარჩო-საბადებებელი სირაჭ-  
ჩირჩების ცარცვისაგან და მასთან  
ერთად შეუწყეო ხელი ღვინით და  
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-  
ხელისთვის ფრიად სასარგებლო  
„საზოგადოების“ გაფართოვება—  
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-  
რების და გამდიდრების მომასწავე-  
ბელია.

უანასენლ დროს საზოგადოების  
საქმები მოჭასერიზებული და შემიღება  
დაუდიობულია.

მოითხოვთ საზოგადოების  
წესდება.